

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო აღმატებულებავ, მოწვეულო სტუმრებო და დამსწრე საზოგადოებავ,

მოგესალმებით,

ჩემთვის დიდი პატივია ამ ტრიბუნიდან სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის რანგში თქვენთვის მომართვა.

2019-2020 წლები იმდენად დატვირთულია, საქართველოსა და წმინდა საყდრის ურთიერთობების თვალსაზრისით, რომ, ცოტა არ იყოს და, მიჭირს კიდევ, რაიმე კონკრეტული მოვლენის გამოყოფა. შეგახსენებთ, რომ 30 წელია გასული კალკუტელი წმ. დედა ტერეზას საქართველოში ვიზიტიდან, 25 წელი - სამხრეთ კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნიდან; 25 წელი - კარიტასის დაარსებიდან; ხოლო 20 წელი კი - წმ. პაპ იოანე პავლე II-ის ისტორიული ვიზიტიდან. ყველა ეს მოვლენა ცალკე იმსახურებს ყურადღების გამახვილებას, რისი დროც ამჟამად, სამწუხაროდ, არ მაქვს. ნება მიბოძეთ, მხოლოდ იმ ასპექტზე შევაჩერო თქვენი ყურადღება, რასაც, ჩემი აზრით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ემსახურება და რის შედეგსაც მომავალში უკეთ ვიხილავთ.

მოგეხსენებათ, რომ მცირე ხნის წინ, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დელეგაცია მსოფლიო პატრიარქთან იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც ყოვლადუწმინდეს ბართლომეოსს გავაცანით სასწავლებელში შექმნილი გარემო, ისტორია, სასწავლო გეგმა და სხვა სახის დეტალები, იგი სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა და აღნიშნა კიდევ, თუ როგორი მისასალმებელი და დასაფასებელია მართლმადიდებელ და კათოლიკე მორწმუნეებს, თეოლოგებსა და სტუდენტებს შორის არსებული ასეთი თბილი და პროდუქტიული გარემოს არსებობა, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა. ეს ყოველივე ცხადყოფს ჩვენი უნივერსიტეტის, როგორც კონფენსიათა შორის არსებული ერთგვარი ხიდის, მეგობრობის ნიმუშის იდეას.

ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ მისი უწმინდესობა რომის პაპ ფრანცისკეს მიერ საქართველოში წარმოთქმული სიტყვა: „სამოციქულო ქადაგებაში, განსაკუთრებით კი ანდრია მოციქულში ფესვადმულ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და პეტრე მოციქულის მოწამეობაზე დაფუძნებულ რომის ეკლესიას დღეს აქვთ მაღლი სამოციქულო ძმობის სიმშვენიერის განახლებისა.“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება, უპირველესად, ჩვენი უნივერსიტეტი. წმინდა მოციქულებს - ანდრიასა და პეტრეს შევთხოვ, რომ ღირსეულად გვეტარებინოს ეს მძიმე, მაგრამ საპასუხისმგებლო ჯვარი.

და ბოლოს, მიუხედავად დღევანდელი საზეიმო განწყობისა, არ შემიძლია, ჩემი სიტყვა ერთი მნიშვნელოვანი მომენტის გარეშე დავასრულო. პირადად მე, როგორც, ერთი მხრივ, მართლმადიდებელი თეოლოგი, ხოლო, მეორე მხრივ კი, საქართველოს სახელმწიფოს რიგითი მოქალაქე, ნათლად ვხედავ, რომ საუკუნეებით გამტკიცებული, ქართული შემწყნარებლური და ტოლერანტული ხასიათი ყოველთვის არაა საკმარისი იმ პრობლემების გადასაჭრელად, რაც საქართველოში მცხოვრებ რომის კათოლიკე ეკლესიის სულიერ შვილებს, ჩვენს დებსა და ძმებს აწუხებთ. აღსანიშნავია, თუნდაც, ისტორიულ კათედრალთა საკითხი, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გადაუჭრელია, ტაძრების გარდა, ასევე, არსებობს იურიდიული, სოციალური, ტექნიკური თუ სხვა პრობლემები, რასაც ქართველი კათოლიკეები ყოველდღიურად ხვდებიან. ვიმედოვნებ, რომ თითოეული ადამიანი, რომელსაც ამ საკითხის მოგვარება შეუძლია, ყოველ ღონეს გამოიყენებს გამოსავლის მოსაძებნად და, ჩვენი მომდევნო შეხვედრების დროს, ამ საკითხებს უკვე სხვაგვარი მიმართულება ექნებათ მიცემული.

დიდი მადლობა!